საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინანიშვილი გივი ვახტანგის ძე

ინანიშვილი გივი ვახტანგის ძე (დ. 7. VI. 1937, თბილისი), მეტალურგი, ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998).

1960 დაამთავრა სპი. საქართვ. მეცნ. აკად. არქეოლ. კვლევის ცენტრის განყ-ბის გამგე (1987იდან). საქართვ. ტექ. უნ-ტის პედაგოგი (1993-იდან). საქართვ. იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი (1994-იდან). სსიპ ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტის პროფესორი (2013-იდან). საერთაშ. სიმპოზიუმებისა და კონგრესების მონაწილე, 40-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

მისი შრომები ძირითადად მეტალურგიის ისტორიის საკითხებს ეხება. იკვლევს სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან და ლითონდამუშავებასთან დაკავშირებულ არქეოლ. ძეგლებს, მათ გენეზისსა და ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში.

თხზ.: ძვ. წ. VII–VI სს. კოლხეთის ლითონის ზოგიერთი ნივთის ტექნოლოგიური კვლევის შედეგები, «კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები», II, თბ., 1985; კოლხეთის რკინის მეტალურგიის შესწავლის ისტორიისათვის, წგ.: გურია, I, თბ., 1996; ქართული მეტალურგიის სათავეებთან, თბ., 2015; Электронномикроскопическое исследование структуры археологического железа, «Известия АН СССР». Металлы, 1976, №1; Исследование древних шлаков железного производства на территории Грузии, წგ.: История науки, Тб., 1984; Юго-Восточная Европа в эпоху раннего металла, Тб., 1987; Metallurgische Verfahren und Kenntnisse im alten Georgien. Georgien–Schätze aus dem Land des Goldenen Vlieses, Bochum, 2001; About the History of Iron

Production in Georgia, «METALL», 2007, N14, 1/2, Bochum.

ბ. ჯორბენაძე